



ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საოჯახო ანსამბლების კონკურსი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულება

საოჯახო ანსამბლების კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) გაიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის - „ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“ ფარგლებში.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის პოპულარიზაცია, ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა და საზოგადოებისთვის მათი შემოქმედების გაცნობა-პოპულარიზაცია და წახალისება.

მუხლი 3. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი წარიმართება სამ ეტაპად:

ა) განაცხადების მიღება იწარმოებს 2022 წლის 3 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით.

ბ) მეორე ეტაპი ჩატარდება 2022 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თითოეულ მუნიციპალიტეტში ინდივიდუალურად, კერძოდ:

ხულოს მუნიციპალიტეტი - სსიპ - ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - ა(ა)იპ - ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი;

ქედის მუნიციპალიტეტი - ა(ა)იპ - ქედის კულტურის ცენტრი;

შუახევის მუნიციპალიტეტი - ა(ა)იპ - სსიპ - ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - ა(ა)იპ - ქობულეთის კულტურის ცენტრი;

ქალაქი ბათუმი - სსიპ - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „არსიანი“ საკონცერტო დარბაზი.

გ) კონკურსის მესამე, ფინალური ეტაპი და დაჯილდოების ცერემონიალი ჩატარდება 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ტერიტორიაზე მოქმედ საოჯახო ანსამბლებს.

2. კონკურსის მონაწილე საოჯახო ანსამბლი კონკურსის თითოეულ ეტაპზე შეასრულებს ერთ ან ორ ნომერს.
3. კონკურსში მონაწილე საოჯახო ანსამბლის წევრთა რაოდენობა არ არის შეზღუდული.
4. კონკურსში მონაწილე საოჯახო ანსამბლი განაცხადის წარმოდგენის გარეშე კონკურსზე არ დაიშვება (იხილეთ დანართის სახით).

მუხლი 5. შეფასების წესი

1. კონკურსის ჟიურის მიერ ინდივიდუალურად შეფასდება თითოეული მონაწილის რეპერტუარი, შესრულების ხარისხი და სამემსრულებლო-შემოქმედებითი უნარ-ჩვევები.

მუხლი 6. კონკურსის ჟიური

1. კონკურსის ჟიურის შემადგენლობა და რაოდენობა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.
2. კონკურსის ჟიური გადაწყვეტილებას ხმათა უბრალო უმრავლესობით იღებს.
3. ფესტივალის ჟიურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 7. გამარჯვებული საოჯახო ანსამბლების დაჯილდოება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის - „ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“, საოჯახო ანსამბლების ხელშეწყობის ფარგლებში გამარჯვებულებს გადაეცემა ფულადი ჯილდო - **3 000** ლარი და ბროლის პრიზი, ხოლო მონაწილე საოჯახო ანსამბლებს გადაეცემათ დიპლომები. სულ გამოვლინდება 6 გამარჯვებული ანსამბლი 6 მუნიციპალიტეტიდან (1 მუნიციპალიტეტიდან 1 გამარჯვებული ანსამბლი).